



შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები და შშმ თემის წევრები მოითხოვენ, გადავადდეს შშმ პირების უფლებებზე კანონპროექტის განხილვა

მიმდინარე წლის 16 მარტს, საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა, რომელიც შშმ პირებს უკავშირდება. შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ და თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

მოგესნებათ, საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული კანონის პროექტის განხილვაში შპმ პირთა თემის წარმომადგენლების, მშობლების და შპმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა, ვინაიდან არ მოხდეს რაიმე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ამავდროულად აღვნიშნავთ, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პირდაპირი რეკომენდაციაა, რომ კორონავირუსული ინფექციის საფრთხის გამო, მაქსიმალური დაცვა სჭირდება შპმ თემს, ვინაიდან სწორედ ისინი წარმომადგენენ ერთ-ერთ რისკ-ჯგუფს. შესაბამისად, ერთი მხრივ კანონის პროექტის განხილვაში მათი მონაწილეობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მათი ჯანმრთელობისთვის, მეორე მხრივ კი, შპმ თემის ჩართულობის გარეშე მათთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობა აბსოლუტურად აზრს მოკლებულია, რაც ეწინააღმდეგება გაეროს შპმ პირთა უფლებების კონვენციას.

ასევე აღვნიშნავთ, რომ კითხვის ნიშნებს აჩენს აღნიშნულ კანონპროექტზე ფორსირებულ რეჟიმში მუშაობა და შპმ თემის პრაქტიკულად ჩამოშორება სადისკუსიო პროცესს. საგულისხმოა ისიც, რომ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების საპარლამენტო განხილვამდე დაგეგმილი იყო სამუშაო შეხვედრა შპმ თემის და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით, რაზეც გვქონდა რიგი წინადადებები და შენიშვნები. სწორედ კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისთვის ორჯერ გადაიდო. პირველ შემთხვევაში ბორჯომში, შემდეგ კი თბილისში ჩაიშალა სამუშაო შეხვედრები. სწორედ ამიტომ, სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება ჩვენს გარეშე - ჩვენივე პრობლემებთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა.

მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს: ქვეყანაში არსებული სახიფათო მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ქვეყანა მნიშვნელოვანი გამონვების წინაშე დგას და თემში ძალიან ბევრი შეკითხვებია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაიდოს ხვალინდელი განხილვა და საკითხზე მუშაობას დავუბრუნდეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გასცემენ რეკომენდაციას, რომ საგანგაშო პერიოდი ჩავლილია. ნუ გვაყენებთ გამოუვალ მდგომარეობაში და ნუ შევუქმნით პირდაპირ საფრთხეს ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად და რისკ-ჯგუფში შემავალ ჩვენს მოქალაქეებს.

შპმ თემის მონაწილეობის გარეშე საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის გადადების საკითხს ქვეყნის წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციებიც უერთდებიან:

- კოალიცია "მოძრაობა ცვლილებებისთვის";

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- საია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი;
- პლატფორმა “ახალი შესაძლებლობებისთვის”;
- პარტნიორობა სოციალური კეთილდღეობისთვის;
- PHR -პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის;
- PIC - მშობელთა საინფორმაციო ცენტრი;
- ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
- ფონდი “აურეს” - Aures Foundation
- MAEE - მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის
- საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია